საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კოლეგიის თავმჯდომარე - მამუკა ნოზაძე

კოლეგიის წევრი - ანა კოტეტიშვილი

კოლეგიის წევრი - ბესარიონ ბოხაშვილი

საჩივრის ავტორი: დ. კ.

საჩივრის ავტორის წარმომადგენლები: ადვოკატი ტ. კ. /სიითი №/, ადვოკატი მ. ც. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 08.02.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 012/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატების გ. ლ.-ს /სიითი №/ და ს. კ.-ს /სიითი №/ მიმართ

ადვოკატთა წარმომადგენელი: ადვოკატი გ. ჩ. /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ გ. ლ.-ს და ადვოკატ ს. კ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 8 თებერვალს საჩივრით მომართა დ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ გ. ლ.-ს და ადვოკატ ს. კ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა თავისი პრეტენზიები დაადასტურა 2023 წლის 27 თებერვლის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, მას საკუთრებაში აქვს ბინა მდებარე ქ. თბილისი, თემქა. მან ოჯახური პირობებიდან გამომდინარე აღნიშნული ბინა გააქირავა. ბინა იქირავა ნ. ქ.-მ, თავის 12 წლის შვილთან ერთად. მხარეთა შორის ქირავნობის ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმება განხორციელდა ზეპირი ფორმით. ქირავნობის ვადად განისაზღვრა პერიოდი 2022 წლის 5 მაისიდან 2023 წლის 5 მაისამდე. მხარეებს ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტა შეეძლოთ მეორე მხარის 1 თვით ადრე ინფორმირებით. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ 2022 წლის ნოემბერში გაირკვა, რომ მას დასჭირდა აღნიშნული ბინით სარგებლობა, რის გამოც დაურეკა ნ. ქ.-ს და გააფრთხილა, რომ 1 თვეში ბინა დაეცალა. ერთ თვიანი ვადის გასვლის შემდეგ, 2022 წლის 10 დეკემბერს გაირკვა, რომ ნ. ქ. არ აპირებდა ბინიდან გასვლას და მან გამოიძახა საპატრულო პოლიცია, რომლებმაც დამქირავებელი გააფრთხილეს, რომ მესაკუთრის მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულნი იყვნენ ბინა დაეცალათ. ამასთან დაკავშირებით შედგა ოქმი, რაზეც მხარეებმა ხელი მოაწერეს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, რადგან ახალი წელი ახლოვდებოდა, მან დამქირავებლებს ბინის დასაცლელად 2023 წლის 10 იანვრამდე განუსაზღვრა ვადა. ამ პერიოდში მან მეზობლისაგან შეიტყო, რომ მისი ბინის დამქირავებლებს მისგან მალულად ბინაში საცხოვრებლად მიუყვანია კიდევ ერთი ადამიანი. 9 იანვარს ის დაუკავშირდა ნ. ქ.-ს და შეატყობინა, რომ აპირებდა მისვლას ბინის დასათვალიერებლად, რაზეც თანხმობა მიიღო. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ იმ ღამეს ბინაში დარჩენა ჰქონდა გადაწყვეტილი, ამიტომ გაურკვევლობის ასარიდებლად, ბინაში მივიდა თავის ადვოკატთან ერთად. ბინაში მისულმა შეიტყო, რომ დამქირავებელი გადასვლას არ აპირებდა. ნ. ქ.-მ განუცხადა, რომ მას წასასვლელი არ ჰქონდა. ასევე, ბინაში მართლაც ცხოვრობდა სხვა ადამიანი - ნ. ქ.-ს მეგობარი ქალბატონი.

1.4 საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან თავისი ოჯახი - ცოლი და 3 მცირეწლოვანი ბავშვი მოათავსა სასადილო ოთახში, ტახტზე და რადგან უკვე იყო შეღამებული, ბავშვებს ჩაეძინათ. მოგვიანებით დაახლოებით 20:00 საათზე მის სახლში შეიჭრნენ ნ. ქ.-ს მიერ გამოძახებული 2 პიროვნება, რომლებმაც განაცხადეს, რომ იყვნენ ნ. ქ.-ს ადვოკატები და დაიწყეს ყვირილი და მუქარა, რომ მესაკუთრეს ამ საქციელს არ აპატიებდნენ, უჩივლებდნენ და დაატოვებინებდნენ სამსახურს. მათ ყვირილზე გაიღვიძეს მძინარე ბავშვებმა და დაიწყეს ტირილი. ბავშვები იყვნენ შეშინებულები და კუთხეში მიყუჟულები. ბავშვებმა ადვოკატის საქციელით განიცადეს ფსიქოლოგიური სტრესი და მიადგათ მორალური ზიანი. დაუკითხავად შემოჭრილი სტუმრები კი კვლავ აგრძელებდნენ ხმაურს, მუქარას და არ ჩერდებოდნენ. ეს ინციდენტი ჩაწერილია ვიდეოზე. მან მოგვიანებით გაარკვია, რომ ესენი ყოფილან ადვოკატები - გ. ლ. და ს. კ..

1.5 ადვოკატი გ. ლ. საუბრობდა ხმამაღალი ტონით, ჩხუბით, ხელების გაშლით და ყვირილით, მან დ. კ.-ს დასდო ბრალი, რომ თითქოს მან განახორციელა შეპარული მუქარა მისი კლიენტის - ნ. ქ.-ს მიმართ. ასევე ადვოკატმა გ. ლ.-მ ჩხუბით და ყვირილით მიმართა კოლეგას - ადვოკატ ტ. კ.-ს ფრაზით: „შენი ბრალია, შენ წააქეზე დ. კ. და შენ ხარ დამნაშავე“. რაც შეეხება ადვოკატ ს. კ.-ს, მან ადვოკატ გ. ლ.-ს შესაჩერებლად არაფერი მოიმოქმედა. ადვოკატ გ. ლ.-ს ქმედება უარყოფითად აისახა დ. კ.-ს არასრულწლოვან შვილებზე, დაძინებულ ბავშვს გაეღვიძა და

დაიწყო ტირილი, ხოლო 2 ბავშვი იყო დამალური. ბავშვებს დასჭირდათ ფსიქოლოგთან ვიზიტი და შიში გაჰყვათ რამდენიმე დღის განმავლობაში.

1.6 კოლეგიის წევრის კითხვაზე, ვინაიდან დ. კ.-მ, იცოდა, რომ ნ. ქ. არ ტოვებდა ბინას და იყო კონფლიქტური სიტუაცია, რატომ მივიდა ამ ბინაში ბავშვებთან ერთად, საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ნ. ქ.-ს არ უთქვამს, რომ ბინის დაცლის წინააღმდეგი იყო, მას ბინა უნდა დაეცალა 8 იანვრის ჩათვლით, რადგან 8 დეკემბერს - 1 თვით ადრე მიიღო მოთხოვნა ბინის დაცლის შესახებ დ. კ.-სგან.

1.7 საჩივრის ავტორის პოზიციით, ადვოკატთა ქცევა არის შეუფერებელი და არაეთიკური ადვოკატის პროფესიისათვის.

1.8 საჩივრის ავტორმა იშუამდგომლა მოწმის სახით სანტექნიკის ხელოსნის ი. ბ. -ს გამოკითხვის შესახებ, რომელიც სადავო შემთხვევის დროს იმყოფებოდა ბინაში. კომისიამ საჩივრის ავტორის შუამდგოლობა მოწმის სახით ი. ბ. -ს გამოკითხვის შესახებ - დააკმაყოფილა და საჩივრის ავტორს დაევალა მოწმის წარმოდგენა. მხარემ მოწმის წარმოდგენის უზრუნველყოფა ვერ შეძლო. საჩივრის ავტორმა იშუამდგომლა მოწმის სახით ფსიქოლოგის - ნ. ბ. -ს გამოკითხვის შესახებ. აღნიშნული მოწმე კოლეგიამ გამოკითხა.

2. საჩივრის ავტორის მოწმის ფსიქოლოგის ნ. ბ. -ს ახსნა-განმარტება:

2.1 2023 წლის 27 თებერვლის სხდომაზე საჩივრის ავტორის მოწმემ, ფსიქოლოგმა ნ. ბ. -მ განმარტა, რომ მან შეაფასა დ. კ.-ს არასრულწლოვანი შვილების ფსიქოლოგიური მდგომარეობა. მოწმემ განმარტა, რომ ამჟამად მუშაობს „აზროვნების აკადემიაში“ და არის აზროვნების აკადემიის საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი, ასევე არის არაფორმალური განათლების კურსების საკვირაო სკოლის ფსიქოლოგი. მოწმემ განმარტა, რომ პროფესიით არის ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი და ბავშვებთან მუშაობს დაახლოებით 15 წელია.

2.2 მოწმის განმარტებით, დ. კ.-ს ადრე არ იცნობდა, აქვს ზოგადი ინფორმაცია, რომ სწავლობდნენ ერთ სკოლაში, თუმცა გადაკვეთა არ ჰქონიათ. მოწმეს დაუკავშირდა კლასელი, რომელმაც მიაწოდა ინფორმაცია, რომ მასთან უნდოდათ კონსულტაცია და ამის შემდეგ, 2023 წლის 11 იანვარს მას დაუკავშირდა დ. კ., რომელმაც სთხოვა არასრულწლოვანი - სკოლანმდელი ასაკის ბავშვების შეფასება, თავის საცხოვრებელ სახლში მომხდარი შემთხვევიდან გამომდინარე, რადგან ბავშვებს ჰქონდათ შფოთვა. მოწმის განმარტებით, ის დ. კ.-ს ბავშვებს შეხვდა თავის სახლში, 3 თებერვალს. მოწმემ დ. კ.-ს 3 შვილიდან ვერ შეაფასა 8 თვის ბავშვის მდგომარეობა და შეაფასა 2 ბავშვი. მშობლების აღნიშვნით, ბავშვებს სტრესის გამოხატვის ფორმა საკმაოდ გაუხანგრძლივდათ.

2.3 მოწმის განმარტებით, ბავშვები არიან კომუნიკაბელურები, უცხო გარემოში შესვლისას მათ არ აქვთ შფოთვა, მას არ უწარმოებია ბავშვების პირდაპირი დაკითხვა და ბავშვებს შესთავაზა პროექციული სავარჯიშო, სადაც შესაძლოა პირდაპირ არ იყოს შეკითხვა დასმული, თუმცა კარგად დგინდება შფოთვის დონე. გამოვლინდა, რომ ბავშვებს ჰქონდათ მაღალი შფოთვა. მან მშობლებს მისცა რეკომენდაცია, რომ ინფორაციის განხილვა განახორციელონ ბავშვებისაგან

დამოუკიდებლად და შეუქმნან მათ მშვიდი გარემო. რადგან როდესაც ბავშვი არის კონფლიქტის შემსწრე, სადაც მისი მშობლები არიან განერვიულებულები, ბავშვის შფოთვის დონე ყოველთვის არის მაღალი, რამეთუ მშობლები არიან მისთვის უსაფრთოების გარანტები. ბავშვების სიმშვიდისთვის ეფექტური არ არის საცხოვრებელი ბინის ხშირი ცვლა.

2.4 მოწმის განმარტებით, ვიზიტი იყო ერთჯერადი, ბავშვები მასთან გაჩერდნენ დაახლოებით 2 საათი. მათ ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ კვლევის განსხვავებული და რამდენიმე ფორმატი შეეთავაზებინათ მშობლებისათვის (პროექციული ტესტები, ნახატის ანალიზი, ინტერვიუ). ინტერვიუს დროს უფროსი გოგონა აფიქსირებდა, რომ მათთან შემოვიდა ორი ადვოკატი, რომლებიც ყვიროდნენ. ბავშვები ამბობდნენ, რომ ამ დროს ისინი ტიროდნენ. ბავშვებთან შეხვედრის შემდეგ მან შეადგინა დოკუმენტი - ანგარიში, რაპორტი. კვლევის რამდენიმე მეთოდის გამოყენების მიზანია, რომ შემფასებელმა მაქსიმალურად უზრუნველყოს პირისგან მიღებული ინფორმაციის დადასტურება.

2.5 მოწმის განმარტებით, დედასთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ბავშვს აქვს ძილის პრობლემები. მოწმემ განმარტა, რომ სკოლანდელი ასაკის ბავშვზე მშობლის მიერ ზეგავლენის მოხდენა არის ძალიან მარტივი. ამის გამო მათ გამოიყენეს პროექციული ტესტები, რომლებიც მათი გამოცდილების იდენტური არ იყო.

3. ადვოკატთა პოზიცია:

3.1 ადვოკატებმა გ. ლ.-მ და ს. კ.-მ ეთიკის კომისიაში ახსნა-განმარტება წარმოადგინეს 2023 წლის 16 თებერვალს, სადაც მიუთითეს, რომ დ. კ.-ს საჩივარში მოყვანილი ფაქტები სინამდვილეს არ შეესაბამება. წერილობით განმარტებაში წარმოდგენილი პოზიცია ადვოკატებმა დაადასტურეს საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 21 თებერვლის სხდომაზე. ადვოკატთა განმარტებით, ისინი ახორციელებენ ნ. ქ.-ს ინტერესების დაცვას, რომელიც იყო კეთილსინდისიერი დამქირავებელი. 2022 წლის დეკემბერში ნ. ქ.-სთან მივიდა დ. კ. და მოსთხოვა ბინის დაცლა, რაზეც ნ. ქ.-მ უარი განუცხადა. ამის შემდეგ დ. კ.-მ განცხადება დაწერა შსს გლდანი-ნაძალადევის სამმართველოში და მოითხოვა ნ. ქ.-ს გამოსახლება. ნ. ქ.-მ დააფიქსირა, რომ ბინას დაცლიდა 2023 წლის მაისის ბოლოს, შესაბამისად, დ. კ.-ს განცხადება დარჩა განუხილველი.

3.2 2023 წლის იანვრის თქვეში დ. კ.-მ დაურეკა ნ. ქ.-ს და უთხრა, რომ აპირებდა ბინის სანახავად მისვლას. დ. კ.-ს არ უთქვამს, რომ აპირებდა ბინაში თვითნებურად შეჭრას და დარჩენას. 2023 წლის 9 იანვარს ბინაში შეიჭრნენ დ. კ. და მისი თანმხლები პირი - ადვოკატი ტ. კ.. ნ. ქ.-ს შეეშინდა, რომ მის მფლობელობაში არსებულ ბინაში შეიჭრნენ დ. კ. და მისთვის უცნობი მამაკაცი და დარეკა 112-ში, დაურეკა მეგობრებს თ. ლ. -ს, ს. ჩ. -ს და თავის ადვოკატებს. ადვოკატი განმარტავს, რომ იმ დროს თბილისში არ იმყოფებოდნენ და ბინაში მისვლა დააგვიანდათ. როდესაც ადგილზე მივიდნენ, ბინაში დახვდათ დ. კ., ადვოკატი ტ. კ., საპატრულო პოლიციის 2 თანამშრომელი, თ. ლ. და გარკვეული დროის შემდეგ მოვიდა ს. ჩ.. ადვოკატი განმარტავს, რომ მათ ჰქონდათ ადვოკატის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი - შევსებული ორდერი, ბინაში მისვლისას კარი იყო ღია, ყველა ჩამოთვლილი პირი იმყოფებოდა ოთახში, მათ თავი წარადგინეს, რომ იყვნენ ნ. ქ.-ს ადვოკატები.

3.3 ადვოკატთა განმარტებით, კოლეგიალურად მიესალმნენ ტ. კ.-ს და შემდეგ ესაუბრებოდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს. მათმა საუბარმა გააღიზიანა დ. კ. და დაუწყო მათ ყვირილი, ხოლო ადვოკატი ტ. კ. მათ მიმართავდა ტერმინებით „ბიჯო“ და „აფერისტები“. ადვოკატი განმარტავს, რომ მათ გაღიზიანებას უპასუხეს მშვიდად - რომ ისინი არღვევდნენ კანონს და უჩივლებდნენ პოლიციაში. ადვოკატი განმარტავს, რომ თუ რაიმე კანონდარღვევა იქნებოდა, რეაგირებას მოახდენდნენ იქ მყოფი საპატრულო პოლიციის თანამშრომლები. ამის შემდეგ მათ დატოვეს ბინა და წავიდნენ შსს გლდანი ნაძალადევის მთავარ სამმართველოში და ჩააბარეს განცხადება დ. კ.-სა და ტ. კ.-ს მიერ განხორციელებული უკანონო ქმედების შესახებ. ამის შემდეგ სადავო ბინაში აღარ მისულან.

3.4 ადვოკატების განმარტებით, ბინაში კონფლიქტში არავისთან შესულან. ასევე, ბინის მისაღებში ბავშვი არ დაუნახავთ - არც ნ. ქ.-ს და არც დ. კ.-ს. იქ ყოფნის პერიოდში არც ბავშვების ხმა გაუგიათ. მოგვიანებით, იქ ყოფნის პერიოდში ნ. ქ.-მ შეიყვანათ ერთ-ერთ ოთახში და აჩვენათ თავისი არასრულწლოვანი შვილი, რომელიც იყო ანერვიულებული და ტიროდა. ადვოკატ გ. ლ.-ს განმარტებით, შემთხვევის ადგილას ბავშვი რომ დაენახა, საუბარსაც არ დაიწყებდა - ისაუბრებდა ბინის გარეთ.

3.5 მათი საჩივრის შემდეგ, დაურეკეს დ. კ.-ს პოლიციიდან, დ. კ.-მ შვილები დაარიგა შემდეგი ტექსტით: „მე ახლა სადღაც უნდა წაგიყვანოთ და თქვით, რომ იმათმა შეგაშინესო“. აღნიშნული ინფორმაცია შეიტყო ნ. ქ.-მ, რადგან ნ. ქ. და დ. კ.-ს ოჯახი რამდენიმე დღე ერთად ცხოვრობდნენ.

3.6 ადვოკატების პოზიციით, ისინი საკუთარ კლიენტს იცავდნენ კეთილსინდისიერად, კანონიერად და პრინციპულად; მათ არ დაურღვევიათ პროფესიული რეგულაციები და დ. კ.-ს საჩივრის მიზანია, რომ მათ უარი თქვან ნ. ქ.-ს სახელით სხვადასხვა ორგანოში შეტანილ საჩივრებზე.

3.7 ადვოკატებმა შეჯამების სახით განმარტეს, ისინი იცავდნენ თავიანთ კლიენტს, მაქსიმალურად, ეთიკური სტანდარტების დაცვით.

4. ადვოკატთა მოწმის, კლიენტის ნ. ქ.-ს ახსნა-განმარტება:

4.1 2023 წლის 21 თებერვლის სხდომაზე ადვოკატთა მოწმემ, კლიენტმა ნ. ქ.-მ განმარტა, რომ მუშაობს შპს „**********“, კაზინო „**********“ -ში სლოტ მენეჯერის პოზიციაზე. მოწმემ განმარტა, რომ მან დ. კ.-გან იქირავა ბინა 2022 წლის 5 ივნისს. ზეპირი შეთანხმებით, მან ბინა იქირავა 2023 წლის მაისის ბოლომდე. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის ქირავნობის პირობები იყო მისაღები და მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ ჰქონიათ. თუმცა გამქირავებელმა დაარღვია მათი ზეპირი შეთანხმება და ბინის დაცლა მოსთხოვა შეთანხმებულ ვადაზე ადრე. მან დ. კ.-ს განუმარტა, რომ ბავშვის სკოლის გამო ვერ შეძლებდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლას, თუმცა ეცდებოდა მოეძებნა ალტერნატიული საცხოვრებელი. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ მან ვერ შეძლო ალტერნატიული ბინის მოძიება, რის შემდეგაც დ. კ.-მ მასთან კომუნიკაცია განაგრძო მუქარით, ყვირილით და შეურაცხყოფის მიყენებით. ამის გამო მას

დეკემბერში დასჭირდა საპატრულო პოლიციის გამოძახება. ამის მიუხედავად, იანვარში მის საცხოვრებელ ბინაში „შევარდა“ დ. კ. და ფაქტობრივად სახლიდან გამოაგდო.

4.2 მოწმის განმარტებით, დ. კ. შეუთანხმდა, რომ 9 იანვარს მივიდოდა ბინის სანახავად. კარი რომ გააღო, უხეშად შევიდა დ. კ. და მაშინ მისთვის უცნობი პიროვნება, როგორც შემდეგ გაირკვა - ადვოკატი ტ. კ., რომელმაც ყვირილით უთხრა, რომ წასულიყო სადაც მიდიოდა და რომ ის იყო მისი ახლობლის ოჯახში. მას მიმართავდნენ შეურაცხმყოფელი ტონით და ცუდი სიტყვებით: „შენ შენს სახლში არ ხარ, ბარგი აიღე ქალო და წაეთრიე სადაც მიდიხარ“. ამის შემდეგ მან დაურეკა თავის ადვოკატებს - გ. ლ.-ს და ს. კ.-ს, რომლებიც ქალაქში არ იყვნენ, უთხრეს, რომ ძალიან მალე ვერ მივიდოდნენ და ურჩიეს გამოეძახებინა საპატრულო პოლიცია.

4.3 მოწმის განმარტებით, როდესაც მასთან მივიდნენ დ. კ. და ტ. კ., სახლში იყო მხოლოდ თავად, არასრულწლოვან, 11 წლის შვილთან ერთად. მოწმემ არ იცის როდის მივიდნენ დ. კ.-ს ცოლი და შვილები, კარი იყო ღია, რადგან ყურადღება გადატანილი ჰქონდა დ. კ.-ს ქმედებაზე. მან დაურეკა მეგობარს, თ. ლ.-ს, რომელიც მივიდა მის ბინაში, ადვოკატების მისვლამდე. მისი ადვოკატები ბინაში მივიდნენ დაახლოებით 2 საათის შემდეგ.

4.4 მოწმის განმარტებით, როდესაც ბინაში შევიდნენ ადვოკატი გ. ლ. და ადვოკატი ს. კ., ისინი ტ. კ.-ს მიესალმნენ თბილად, მას დარჩა შთაბეჭდილება, რომ იყვნენ ახლობლები. მისალმების შემდეგ, გ. ლ. ესაუბრებოდა საპატრულო პოლიციის თანამშრომელს და ამ დროს ტ. კ. და დ. კ. ყვიროდნენ - რომელთაც აჩერებდათ პატრულის თანამშრომელი მიმართვით - ნუ ყვირიხართ. ისინი მის ადვოკატებს მიმართავდნენ ფრაზებით - „პროვოკატორებო“; „ბიჭო აქ რა გინდათ“, თავის მხრივ გ. ლ. და ს. კ. მოწოდებულნი იყვნენ, რომ ესაუბრათ მშვიდად და ცივილიზებულად, რისი საშუალებაც არ ეძლეოდათ.

4.5 მოწმე განმარტავს, რომ ეს ყველაფერი დიდხანს არ გაგრძელებულა, მისი ადვოკატი მიხვდა, რომ დ. კ. -თან და ტარიელ კბილაშვილთან საუბარს ვერ ააწყობდა, ისინი გავიდნენ სხვა ოთახში - საძინებელში, სადაც მას ადვოკატებმა გაუწიეს კონსულტაცია. ადვოკატებმა ურჩიეს, რომ არ აყოლოდა პროვოკაციას, ყოფილიყო მშვიდად და შემდეგ ის დატოვეს, რადგან ადვოკატები საჩივრის დასაწერად წავიდნენ კრიმინალურ პოლიციაში. მისმა ადვოკატებმა საძინებელში შესვლის შემდეგ დაინახეს მისი არასრულწლოვანი შვილი, რომელიც ნერვიულობდა და ტიროდა. მან შვილს სთხოვა საძინებელში შესვლა, რადგან ბავშვი ნერვიულობდა. მოწმე განმარტავს, რომ მას ეს ყველაფერი დაფიქსირებული აქვს საპატრულო პოლიციასთან.

4.6 მოწმის განმარტებით, დ. კ.-ს ბავშვები ახსოვს იმ მომენტიდან, როდესაც წავიდნენ მისი ადვოკატები, წავიდა საპატრულო პოლიცია და ის შებრუნდა ოთახში, სადაც დაინახა ბავშვები, რომლებიც მშვიდად თამაშობდნენ ნაძვის ხის სათამაშოებით, ხოლო ყველაზე პატარა ბავშვს ეძინა დივანზე. მოწმემ გაიხსენა, რომ მისმა მეგობარმა უთხრა დ. კ.-ს, არ ესაუბრა ყვირილით, რადგან ბავშვს ეძინა.

4.7 მოწმის განმარტებით, ის დ. კ.-ს ოჯახთან ერთად ბინაში ცხოვრობდა 2 დღის განმავლობაში და გაიგონა, რომ დ. კ.-მ ბავშვებს უთხრა - „მე თქვენ სადღაც უნდა წაგიყვანოთ და ვისზეც გეტყვით, უნდა თქვათ, რომ იმათი ძალიან გეშინოდათ“.

4.8 მოწმის განმარტებით, მისი ადვოკატების გ. ლ.-ს და ს. კ.-ს მხრიდან ხმამაღალ საუბარს ან შეურაცხმყოფელ ქცევას ადგილი არ ჰქონია, ადვოკატები საუბრობდნენ მშვიდად და კორექტურად.

5. ადვოკატის მოწმის თ. ლ. -ს ახსნა-განმარტება:

5.1 საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 21 თებერვლის სხდომაზე, მოწმემ თ. ლ. -მა განმარტა, რომ ის არის ადვოკატების გ. ლ.-ს და ს. კ.-ს კლიენტის ნ. ქ.-ს მეგობარი და შეესწრო მომხდარ შემთხვევას. მოწმემ განმარტა, რომ მისი მეგობარი, ნ. ქ. ცხოვრობდა სახლში, რომელიც იქირავა დ. კ.-გან. დ. კ. -თან შეხება არ ჰქონია იმ დღემდე, როდესაც მას დაურეკა ნ. ქ.-მ და უთხრა, რომ მის ბინაში ასულიყო.

5.2 მოწმის განმარტებით, ნ. ქ.-მ ბავშვი გაზარდა მარტომ და ის ეხმარებოდა. ნ. ქ.-მ დ. კ. ბინა იქირავა, რადგან უნდოდა გაფართოება და თან ბინა ახლოს იყო ბავშვის სკოლასთან.

5.3 მოწმის განმარტებით, ის რომ ბინაში მივიდა, მისული იყო საპატრულო პოლიცია, დ. კ. და მისი თანმხლები პიროვნება, როგორც შემდეგ გაირკვა - ადვოკატი ტ. კ.. იყო ხმაური და ნ. ქ.-ს ეუბნებოდნენ, რომ ბინა დაეცალა. საპატრულო პოლიცია აჩერებდა დ. კ.-ს და მის ადვოკატს. ნ. ქ. ყოველთვის ცდილობს არ შევიდეს არავისთან კონფლიქტში, რადგან სტრესის დროს უუარესდება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. მოწმის განმარტებით, ბინაში იმყოფებოდა ნ. ქ.-ს არასრულწლოვანი შვილი. ის როდესაც მივიდა, იყო ქაოსი და მას დ. კ.-ს ბავშვები არ დაუნახავს. მან მოგვიანებით დაინახა, რომ პატარა ბავშვს ეძინა და იქვე იყო კიდევ 2 ბავშვი, კუთხეში. ბავშვები კარგად არ ჩანდნენ, რადგან მან ისინი შენიშნა მოგვიანებით.

5.4 მოწმის განმარტებით, ადვოკატები გ. ლ. და ს. კ. მივიდნენ მისი მისვლიდან დაახლოებით ნახევარ საათში. ადვოკატებმა მიმართეს საპატრულო პოლიციის თანამშრომელს, რომ მისთვის აეხსნა სიტუაცია. დ. კ. და მისი ადვოკატი საუბრობდნენ ყვირილით. ნ. ქ.-ს მიმართავდნენ ტერმინოლოგიით: „გაეთრიე“; „სახლი დატოვე“.

5.5 მოწმის განმარტებით, ადვოკატებს ს. კ.-ს და გ. ლ.-ს დ. კ.-სა და ტ. კ.-სათვის შეურაცხმყოფელი სიტყვებით არ მიუმართავთ და მათ ხმისთვისაც კი არ აუწევიათ.

II სამოტივაციო ნაწილი

6. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

6.1 ადვოკატი გ. ლ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლი. ადვოკატი ს. კ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

6.2 დ. კ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2023 წლის 8 თებერვალს.

6.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2023 წლის 9 იანვარს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

7. შემაჯამებელი დასკვნა:

საპროცესო კოლეგიამ შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ ადვოკატების გ. ლ.-ს და ს. კ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

8. სამართლებრივი შეფასება:

8.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატებმა გ. ლ.-მ და ს. კ.-მ 2023 წლის 9 იანვარს დ. კ.-ს კუთვნილ ბინაში მისამართზე: თბილისი, თემქა დაარღვიეს ქცევის წესები - დაიწყეს ყვირილი, მუქარა და შეაშინეს მისი მცირეწლოვანი ბავშვები.

8.2 საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატების მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

8.2.1 ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს პროცესის მონაწილეთა უფლებები (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი).

8.2.2 ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან, აგრეთვე არბიტრაჟთან და ნებისმიერ სხვა პირთან, რომელიც ახორციელებს მართლმსაჯულებას ან სასამართლოს მსგავს ფუნქციას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი).

8.3 ადვოკატი ვალდებულია პატივისცემა გამოიჩინოს პროცესის მონაწილეების მიმართ. აღნიშნული ვალდებულება არ მოქმედებს მხოლოდ სასამართლო პროცესის განმავლობაში, ის ვრცელდება ნებისმიერ კომუნიკაციაზე ადვოკატსა და ამ ვალდებულების ადრესატს შორის.

8.4 ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში R.S and Z v Switzerland (განაცხადი N10414/83, 1984 წლის 01 ოქტომბრის გადაწყვეტილება) აღნიშნა: „პროფესიული ვალდებულებები და პასუხისმგებლობა ადვოკატს ნებას არ რთავს გააკეთოს სუბიექტური, არაგონივრული და შეურაცხმყოფელი განცხადებები იმგვარად, რომ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს მთელი ადვოკატთა კორპუსის საიმედოობა და ეთიკურობა.“

8.5 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ როდესაც საჩივრის ავტორი დავობს ადვოკატთა მიერ მისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, მას ეკისრება მოპასუხე ადვოკატის სადავო ქცევის დადასტურება, შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით

კომისიას უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი, რომ სადავო ქმედება, რაც სამართლებრივად უნდა შეაფასოს ეთიკის კომისიამ, ჩაიდინეს მოპასუხე ადვოკატებმა.

8.6 ადვოკატის მიერ სადავო ქცევის დასადასტურებლად, საჩივრის ავტორმა წარმოადგინა წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარტება, შემთხვევის დღეს გადაღებული აუდიო - ვიდეო ჩანაწერი, ასევე წარმოადგინა ფსიქოლოგის დასკვნა, რომელმაც შეაფასა მისი არასრულწლოვანი შვილები. კომისიამ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა და მოწმის სახით გამოკითხა ფსიქოლოგი - ნ. ბ.. კომისიამ დააკმაყოფილა საჩივრის ავტორის შუამდგომლობა მოწმის სახით შემთხვევის შემსწრე ხელოსნის ი. ბ. -ს გამოკითხვის შესახებ, თუმცა მხარემ აღნიშნული მოწმის წარმოდგენა ვერ შეძლო. მოპასუხე ადვოკატები არ დაეთანხმნენ საჩივრის ავტორის პრეტენზიას და წარმოადგინეს შემთხვევის შემსწრე მოწმეების - ნ. ქ.-ს და თ. ლ. -ს პოზიციები.

8.7 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

8.8 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამდასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატების გ. ლ.-ს და ს. კ.-ს მიერ საჩივრის ავტორისათვის შეურაცხყოფის მიყენებისა და არასათანადო ქცევის ფაქტი, სწორედ საჩივრის ავტორის - დ. კ.-ს სამტკიცებელია.

8.9 დ. კ.-მ კომისიას წარმოუდგინა მოწმის, ფსიქოლოგ ნ. ბ. -ს ახსნა-განმარტება. ნ. ბ. -მ განმარტა, რომ ბავშვებს აღენიშნებოდათ შფოთვა. ამავე დროს, მან მიუთითა, რომ მცირეწლოვანი ბავშვების მშობლებს მისცა რეკომენდაცია, რომ ბავშვები ჰყოლოდათ მშვიდ, კონფლიქტისაგან დაცულ გარემოში. თავის მხრივ, თავისი პოზიციის გასამყარებლად, ადვოკატებმა ეთიკის კომისიას წარმოუდგინა მტკიცებულება - მოწმეთა პოზიციები. კომისიამ გამოკითხა ადვოკატის ორი მოწმე: ადვოკატის კლიენტი ნ. ქ. და კლიენტის მეგობარი - თ. ლ.. აღნიშნული მოწმეები უშუალოდ შეესწრნენ 2023 წლის 9 იანვარს, დ. კ.-ს საკუთრებაში არსებულ ბინაში მომხდარ შემთხვევას. მოწმეები არ ადასტურებენ ადვოკატების გ. ლ.-ს და ს. კ.-ს მხრიდან არასათანადო ქცევისა და ვისმესთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტს და პირიქით, განმარტავენ, რომ ადვოკატებს აყენებდნენ შეურაცხყოფას საჩივრის ავტორი და მისი წარმომადგენელი.

8.10 საჩივრის ავტორმა წარმოადგინა საქმის გარემოებების დასადგენი პირდაპირი მტკიცებულება - შემთხვევის აუდიო-ვიდეო ჩანაწერი, რომლითაც ადვოკატთა მხრიდან მისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი არ დასტურდება. რაც შეეხება ფაქტს, რომ კონფლიქტურ სიატუაციას შეესწრო ოთხი არასრულწლოვანი ბავშვი (ნ. ქ.-ს და დ. კ.-ს შვილები), კოლეგია განმარტავს, რომ მხარეთა პოზიციებიდან დგინდება, რომ ნ. ქ.-ს და დ. კ.-ს შეთანხმებით, დ. კ. 9 იანვარს მიდიოდა ბინის სანახავად, თუმცა რეალურად მის მიზანს წარმოადგენდა ბინაში დარჩენა და ამის გამო, თან წაიყვანა თავის ადვოკატი - ტ. კ.. რადგან ნ. ქ. არ გეგმავდა ბინის დაცლას 9 იანვარს, ცხადია მხარეთა შორის შეიქმნებოდა კონფლიქტური სიტუაცია, რაც განჭვრეტადი უნდა ყოფილიყო მცირეწლოვანი ბავშვების მამის - დ. კ.-ს მიერ და მას ბავშვები უნდა მოერიდებინა კონფლიქტური სიტუაციისაგან. მხარეთა შორის კონფლიქტი შეიქმნა მანამ, სანამ ადგილზე მივიდოდნენ ნ. ქ.-ს ადვოკატები, რაც გამოიხატა შემდეგ ფაქტებში: მხარეებმა გამოიძახეს საპატრულო პოლიცია; ნ. ქ.-მ მორალური მხარდაჭერა სთხოვა მეგობარს; დ. კ.-ს თან ახლდა თავის ადვოკატი. ადვოკატ გ. ლ.-ს და ს. კ.-ს მოწმეები, რომლებიც კონფლიქტს შეესწრნენ განმარტავენ, რომ თავად დ. კ. და მისი ადვოკატი საუბრობდნენ ხმამაღალი ტონით. შესაბამისად, კოლეგიას მიაჩნია, ადვოკატ გ. ლ.-ს და ადვოკატ ს. კ.-ს მიერ, თავისი კლიენტის დაცვის პროცესში განხორციელებული ქმედება, მიზეზობრივ კავშირში არ არის არასრულწლოვანი ბავშვების ფსიქოლოგიურ მდგომარეობასთან, რადგან პირველ რიგში, აღნიშნული კონფლიქტი შეიქმნა მათ მისვლამდე, ბავშვებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა პირველ რიგში არის მათი მშობლების ვალდებულება და ასევე, ადვოკატ გ. ლ.-ს და ს. კ.-ს მიერ საჩივრის ავტორისათვის შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართვა - არ დადასტურდა.

8.11 2022 წლის 07 ივლისის საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით საქმეზე Nას-521-22, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ „მტკიცების ტვირთის გადანაწილების დროს, უაღრესად დიდი მნიშვნელობისაა ის, თუ როდის გადადის მტკიცების ვალდებულება ერთი მხარიდან მეორეზე. როგორც წესი, ფაქტის მითითებისა და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურ სამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი“; ამავე გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ „მოსამართლეს დავის გადასაწყვეტად სჭირდება რელევანტური ფაქტები, რომელთა წარდგენაზე სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მხარეებს და საქმეზე გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული შეჯიბრებითობის პრინციპის სრულად რეალიზაციის პირობებში“.

8.12 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“ განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს, ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც კომისიას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებდა ადვოკატების მიერ არასათანადო ქცევისა და შეურაცხოფის მიყენების ფაქტს. შესაბამისად,

ადვოკატ გ. ლ.-სა და ადვოკატ ს. კ.-ს არ დაურღვევიათ „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის, მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი.

8.13 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი ნაწილით, 40-ე მუხლის პირველი ნაწილით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №012/23 ადვოკატების გ. ლ.-ს /სიითი №/ და ს. კ.-ს /სიითი №/ მიმართ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზესარიონ ბოხაშვილი/